ხელშეკრულება N162/01/142

CPV: **65100000** - წყლის განაწილება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები

თბილისი 29.08.2012 წ.

ერთ მხრივ, შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (შემდგომში „კომპანია") წარმოდგენილი ახალი აბონენტების მიერთებისა და აღრიცხვის კვანძების დეპარტამენტის უფროსის გიორგი კობერიძის სახით და მეორეს მხრივ სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" (შემდგომში „ახალი მომხმარებელი") დირექტორის მოადგილის თეიმურაზ მაჩაიძის სახით, (ორივე ერთად „მხარეებად" წოდებულნი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში ქ.თბილისში, გლდანი–ნაძალადევის რაიონში, I-IV და IV-V მ/რაიონებს შორის მდებარე პროფესიული გადამზადების ცენტრისათვის მოთხოვნილი დღე ღამური წლის ხარჯი 135.0 $მ^3$–ის შესაბამისი წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის გადახდას, თანახმად „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების წესების დმტკიცების შესხებ" საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის N32 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე (22.03.2012წ, დადგენილება N4), წყალარინების ქსელის მოწყობის პროექტის მომზადება, მასში განსაზღვრულ სამშენებლო–სამონტაჟო სამუშაოებზე ზედამხედველობის გაწევა და წყალარინების ქსელის ქალაქის მოქმედ ქსელზე შეჭრა

2. მიერთების საფასური და ანგარიშსწორების პირობები

2.1. წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური ერთჯერადი გადასახდელია.

2.2 მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 22922.77 ლარს, სადაც: წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური (ერთჯერადი გადასახადი) აღნიშნული ობიექტისათვის შეადგენს 22505.90 ლარს, წყალარინების მოწყობის პროექტის და მასში განსაზღვრულ სამშენებლო–სამონტაჟო სამუშაოებზე ზედამხედველობის გაწევის საფასური შეადგენს 296.87 ლარს და წყალარინების ქსელის შეჭრის საფასური შეადგენს 120 ლარს ახალი მომხმარებელი მთლიან თანხას იხდის ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ან წარმოადგენს შესაბამის საბანკო გარანტიას.

2.3 2.2 პუნქტში მითითებული მოთხოვნების შესრულების შემდეგ მიმწოდებელი იწყებს სამუშაოების შესრულებას წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია მხარეების მიერ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების და აბონენტად დარეგისტრირებამდე, მაგრამ არა უგვიანეს 2012 წლის 30 სექტემბრისა, რაც ფორმდება შესაბამისი აქტებით.

4. მხარეთა უფლებები და მოვალეობანი

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

- მოამზადოს წყალარინების ქსელის მოწყობის პროექტი.
- ზედამხედველობა გაუწიოს დამტკიცებული ინსტრუქციის (დანართი 1) შესაბამისად, პროექტით განსაზღვრული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულებას.
- წყალარინების განშტოების მოწყობის შესაბამისი აქტის წარმოდგენის შემდგომ ჩაატაროს წყალარინების ქსელში შეჭრასთან დაკავშირებული სამუშაოები, განახორციელოს ობიექტის წყალმომარაგება და გააფორმოს იგი აბონენტად.

შემსყიდველი ვალდებულია:

- შეთანხმებულ ვადებში გადაიხადოს წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერტების (ერთჯერადი გადასახადი), წყალარინების ქსელების მოწყობის პროექტის და საავტორო ზედამხედეველობის საფასური;
- წინასწარ, არანაკლებ 5 სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მიმწოდებელს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დაწყების ზუსტი თარიღი;

4.2 შემსყიდველს არა აქვს, მის განშტოებაზე, სხვა მომხმარებლების მიერთების უფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

4.5 მხარეთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ან მესაკუთრის შეცვლა არ წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებებულების შეუსრულებლობის საფუძველს.

5. დასკვნითი დებულებანი

5.1 ყველა ის საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, გადაწყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.1. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივე მათგანს გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა რეკვიზიტებია:

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის N1, შენობა–ნაგებობა N1, მე–2 სართული, ს/კ 202294980; სახელმწიფო ხაზინა, ა/ა 200122900, კოდი: 220101222

მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში
დირექტორის მოადგილე თეიმურაზ მაჩაიძე

_____
(ხელმოწერა)

შ.პ.ს. ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი", მისამართი: თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33; ს/კ: 203826002; სს ,,საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი:BAGAGE22, ა/ნ: GE80BG0000000277331100

ახალი აბონენტების მიერთებისა და აღრიცხვის
კვანძების დეპარტამენტის უფროსი

გიორგი კობერიძე

_____
(ხელმოწერა)